საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000084556196017

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 98; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 7 06 / მარტი / 2017 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ემუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის მეათე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის,ქირის საფასურის,ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების“-ის 38-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ემუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შემცირდეს სოფელ ჩაჩხრიალას ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური საკუთრების ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებოდ წარდგენილი და გაუყიდავი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1215 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №50.24.31.069) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება (ექვსი ათას სამოცდა თხუთმეტი ლარი) 45 %-ით და განისაზღვროს 3342 (სამი ათას სამას ორმოცდა ორი) ლარით

2.განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ წითელაური